ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2319 ორშაბათი, 10 ნოემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2319

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

წარ. 19, აბონემენტი № 6 **ქართული თეატრი** ტელეფონი № 617

ხუთშაბათს, 13 ნოემბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

I

გულის თქმა

დრამა 4 მოქმ. რაკშანინისა. თარგმ. ა. ნიკიტინისა.

II

არც აქეთ არც იქით

ვოდ. 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ნებიერიძე, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „ქმართა სკოლა“. რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს, 11 ნოემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

I

რიგოლეტო

ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა ვერდისა.

II

კავალერიის შესვენება

ბალეტი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კარტავინა, კარრი, ლელინა, სკორუპსკაია; ბ-ნნი: ფიგნერი, ჯირალდონი, კლიუზნერი, შმაკოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი პოზენი.

ანონსი: 12 ნოემბ.—„აიდა“, 13 ნოემბ. - „ფაუსტი“. (ნ).

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი. - კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. გ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი** № 274.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვნაჭისა. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის უჩა, ს ახლოქ ანტიპარმაკლიძისა. (20—6.—14)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (0—10)

ახალი ამბავი

◆ ბიულეტენი კავკასიის მთავარმართებლის **თავ. გ. ს. გოლიცინის** ჯანმრთელობისა: „მისი ბრწყინვალება, 5 ნოემბერს, საღამოთი, ბალში ხანგრძლივ სეირნობის შემდეგ, უქეიფოთ შეიქნა და ღამე მოუსვენრად გაატარა. 6 ნოემბერს ყელი ატკივდა, და სიცხემ უმატა; კეფაზე ჭრილობა დაუსივდა. 7 ნოემბერს, დილით, ჭრილობის ირგვლივ თავის კანის ანთება აღმოაჩნდა, სიცხე 39,9° ჰქონდა. საღამოს სიცხე 40,3°-მდე ავიდა და თვითგრძნობიერება ცუდი ჰქონდა. 8 ნოემბერს, დილით, აღმოჩნდა, რომ თავის კანისა და სახის ანთება გაუძნელდა. დილით სიცხე 40,1° ჰქონდა, დღისით—40,4°, საღამოთი ოფლი მისცა და სიცხემ უკლო, 39,7° ჰქონდა. მაჯა წუთში 100-ჯერ უცემს. ჭრილობა თანდათან წინანდელ ნორმალურ სახეს იღებს“. ხელს აწერენ ექიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო და გადომსკი.

ბიულეტენი 9 ნოემბრისა: „მის ბრწყინვალების ავადმყოფობის მდგომარეობა დღის განმავლობაში შესამჩნევად არ შეცვლილა. სიცხე დილით ჰქონდა 39,5, საღამოთი 39,6; მაჯა—90. თავის კანისა და სახის ანთება სუსტად ვრცელდება“. ხელს აწერენ ექიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო გადომსკი.

◆ „კავკაზ“-ის ოფიციალურ განყოფილებაში დაბეჭდილია: „რადგან სენატორი, გენერალ-ადიუტანტი თავადი გოლიცინი ავად არის, ამიტომ, მე, კავკასიის მხარის მართვა-გამგეობის დებულების მე-31 მუხლის ძალით, შევუდექი კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის ასრულებას. კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი **ფრეზე**“.

◆ უსინათლოთათვის მზრუნველ საზოგადოების ტფილისის სამკურნალოს დირექტორად **ბ. ნ ტარასაიძის ნაცვლად**, რომელიც ავად არის, დანიშნეს მკურნალი ქალი პუტიატა.

◆ დღეს პეტერბურგიდან ტფილისში მოელიან ამიერ-კავკასიის **რკინის გზის უფროსს** ინჟენერ ივანოვსკის.

◆ ჰფიქრობენ, 1904 წელს აწერონ და აღნუსხონ ის **მამულები კავკასიაში**, რაც ხაზინას ეკუთვნის.

◆ **მთავრობამ დაამტკიცა ბათუმში** განზრახულ ქალაქის ურთ-ერთ დამზღვევ საზოგადოების წესდება.

◆ დღეს, 10 ნოემბერს, **ტფილისის ქალაქის საბჭოს** განსახილველად აქვს სავალდებულო დადგენილებანი კვირა-უქმეებში ვაჭრობის მოსაწესრიგებლად, სავალდებულო დადგენილებანი ქალაქის სატრაქტირო დაწესებულებათა შენახვის შესახებ და სხვ. სულ 7 საქმე.

◆ 22 ოქტომბერს ბაქოში მცხოვრებთა **საყოველთაო აღწერა მოხდა.** როგორც ადგილობრივი გაზეთები გადმოგვცემენ, ბაქოში სულ 207, 913 მცხოვრები ყოფილა, აქედან მამაკაცი 128,576, დედაკაცი 79,327. კერძოდ ბაქოსა და ახლო-მახლო უბნებში 163,985 მცხოვრები ყოფილა, ხოლო ბალახანა-საბუნჩაში—43,928 მცხოვრები.

◆ „კავკაზ“-ის რედაქტორად, როგორც ეს გაზეთი იტყობინება, მოწვეულია „ყაზანის საგუბერნიო უწყებათა“ რედაქტორად ნამყოფი **ნ. ფ. იუშკოვი**, რომელიც დღეიდან შეუდგება თავის მოვალეობის ასრულებას.

◆ ნოემბრის დასასრულს ტფილისში ჩამოვა **საქართველოს ექსარხოსი** ალექსი.

◆ „კავკაზ“-ში ვკითხულობთ: „ნაფიც ვექილის თანაშემწეს, გერასიმე ნიკიტას ძეს ელიაზაროვს, ერთის წლით **აეკრძალა კავკასიაში ცხოვრება**, რადგან ამა წლის 13 აგვისტოს, მუშტაიდში, ჩაერია სამოსწავლო მმართველობის განკარგულებაში“.

◆ დროებით შეჩერების შემდეგ გუშინ გამოვიდა **„კვალის“** მე-28 ნომერი.

თელავი. 6 ნოემბერს თელავიდან გაჰგზავნეს მთელ მაზრიდან ჯარში ახლად მიღებულნი. ზოგი სევასტოპოლს გაჰგზავნეს, ზოგი კუშკასა და ზოგიც ვერნაში.

◆ 7 ნოემბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ყარსის ოლქის მცხოვრების ხეჩატურ ბახჩაიანცისა. 16 მაისს, 1901 წელს, ციციანოვის ქუჩაზედ, ამბარცუმოვის სახლში, თავის ბინაზედ უნახავთ 11 ადგილას დაჭრილი ქალი მიხაილოვისა. ამბარცუმოვს ეს ამბავი მაშინათვე პოლიციისთვის უცნობებია. როგორც გამორკვეულა, ორის კვირის წინად მკვლელობის ჩადენამდე მიხაილოვის ქმარს მიუყვანია ხეჩატურ ბახჩაიანცი და ამბარცუმოვისათვის უთქვამს, ეს კაცი ჩემი მეგობარია და ჩემს ბინაზე იცხოვრებსო. რამდენისამე დღის შემდეგ ქმარი სხვაგან წასულა და ხეჩატურ ბახჩაიანცი იქ დარჩენილა. ხეჩატურის გარდა ქალთან ყოფილა მისივე 9 წლის ვაჟი. 16 მაისიდან ხეჩატურა სადღაც გადამალულა. ეჭვი შეუტანიათ, რომ ეს ბოროტ-მოქმედება იმას უნდა ჩაედინა. კარგა ხანს ძებნის შემდეგ, ხეჩატურა დაიჭირეს, მაგრამ იგი დანაშაულობაში არ გამოტყდა. სასამართლომ ბახჩაიანცი დამნაშავედ არ იცნო.

პრესსა

ამ დღეებში თავ. მეშჩერსკიმ უსაყვედურა „ნოვ. ვრ.“-ს რედაქტორს სუვორინს, როგორ არ გრცხვენია ამდენხანს შეურყეველი რწმენა არა გაქვს, მუდამ ირყევი, დღეს რომ ერთს ამბობს, ხვალ მეორეს, იმის წინაალმდეგს, ამტკიცებო და სხვა. ამ საყვედურის სიმართლე ეჭვს გარეშეა. სხვათა შორის, საკვირველია „ნოვ. ვრ.“-ს რყევა კავკასიის საქმეების გამო. ამას წინად ჩვენ დავბეჭდეთ ამ გაზეთის აზრი, რომ კავკასიის საქმეთა მოსაწესრიგებლად სასტიკი კანონები, სამხედრო სასამართლო და სხვა ამგვარები საჭიროო; დღეს-კი ესევე გაზეთი (№ 9939) თითქმის სულ სხვა ჰანგს აჟღერებს. აი, თვით დარწმუნდით.

კავკასიაში მშვიდობიანობის დასამყარებლადო, ამბობს გაზეთი, ორგვარ ღონისძიებაზე გვითითებენო: პირველი რიგის ღონისძიებანი სასტიკობის გაძლიერებას მოასწავებენ: სამხედრო ეკზეკუცია, მთელის ქვეყნის სამხედრო წესრიგით მართვა, მცხოვრებთა საერთო პასუხისგება ავაზაკობასთან საბრძოლველად, ადგილობრივ მკვიდრთა განდევნა ადმინისტრაციისაგან და სხვა. მეორე რიგის ღონისძიებანი უფრო კულტურული საშუალება არისო: რუსებით დასახლება კავკასიისა, სკოლების გამრავლება, იარაღის აყრა, მაჰმადიანთათვის სამხედრო ბეგრის დაწესება და სხვა. გაზეთი **უყურადღებოდ** სტოვებს პირველ რიგის ღონისძიებათ, რომელთაც გუშინ თითონ ქადაგებდა, და არჩევს მეორე რიგის ღონისძიებათ, რომელთაც აგრეთვე კრიტიკულად სინჯავს. მაგალითად, დიდათ საყურადღებოა „ნოვ. ვრ.“-ს დღევანდელი აზრი კავკასიის რუსებით დასახლების შესახებ. ხალხიო, ამბობს გაზეთი, უჩვენოდაც სახლდება კავკასიაში, მაგრამ იმ ადგილში, სადაც შეიძლება დასახლება; ამიერ-კავკასიაში-კი ჩვენები ვერ სძლებენ და ამიტომ იქ დასახლებაზე ლაპარაკი მეტია. გარდა ამისაო, ამტკიცებს გაზეთი,

> ჩრდილოეთ კავკასიის რუსებით დასახლებამ ვერ შეამცირა ავაზაკობა. არა თუ ავაზაკთა სოფლებთან, არამედ თვით ნალჩიკ ქალაქში, ვლადიკავკავსა და ქალაქ გროზნში, კაზაკები წინანდებურის თავხედობით ძარცვავენ ხალხს, დასცინიან ადმინისტრაციას და შიშის ზარსა სცემენ მშვიდობიან მცხოვრებთ... ამიტომ უმჯობესია, ნულარ შევაწუხებთ მკვიდრთ და მათ მცირე ადგილ-მამულზე ნუ დავასახლებთ რუსის გლეხთ.

გაზეთის აზრით, უფრო სასარგებლო იქნება კავკასიაში რუს ვაჭართა, მრეწველთა და ინტელიგენტთა მოღვაწეობა; ამათ შეუძლიათ რუსულ კულტურის გავრცელებაო, თუმცა, სამწუხაროდ, განაგრძობს გაზეთი, სწორედ ეს ელემენტები ვერ იჩენენ საკმაო ენერგიასაო... შემდეგ გაზეთი აღნიშნავს სკოლების სიმცირეს მაჰმადიანთა შორის:

> სამწუხაროდ, დღემდის თითქმის არაფერი გაკეთებულა კავკასიაში სახალხო სწავლა-განათლების მხრივ, უმთავრესად მაჰმადიანთა შორის. მაგალითად, დაღესტანში 600 ათას მცხოვრებზე მხოლოდ ხუთასამდე მაჰმადიანი მოწაფე მოდის. ჭეშმარიტად, ეს მხოლოდ წვეთია ზღვაში! მთელს კავკასიაში, დაბალ სახალხო სკოლებში 183,490 ყმაწვილი სწავლობს; ამათგან თათარი მხოლოდ 3,5 პროცენტია, მთიული კიდევ ნაკლები—2,7 პროც., მაშინ, როდესაც კავკასიაში სამ მილიონზე მეტი მაჰმადიანი ცხოვრობს...

შემდეგ გაზეთი ეხება იარაღის აყრას. ეს ღონისძიება, ამბობს გაზეთი, სასარგებლოა, მაგრამ ფრთხილად და თანდათანობით უნდა იქმნას განხორციელებულიო. გახსოვთ, ალბათ, რომ „ნოვ. ვრ.“ ყოველთვის სასაცილოდ იგდებდა იარაღის აყრის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებათ; ახლა გაზეთი იმათვე მოსაზრებას იმეორებს:

> კავკასიელთათვის იარაღის აყრა სასარგებლო ღონისძიებაა, მაგრამ, ნუ დავივიწყებთ, რომ ამით უიარაღო მცხოვრებთ შეიარაღებულ ავაზაკთ მივცემთ ხელში. მცხოვრებნი მაშინ ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ აღმოუჩენენ ავაზაკთ. ასე რომ, იარაღის აყრა სიფრთხილით უნდა მოხდეს; უწინარეს ყოვლისა საჭიროა პოლიციამ შეიძლოს და მცხოვრებნი ნამდვილად დაიფაროს ავაზაკთაგან.

აგრეთვე ფრთხილად და თანდათანობით უნდა მოხდესო, განაგრძობს გაზეთი, მაჰმადიანთათვის სამხედრო ბეგრის—ჯარში გაყვანის—დაწესებაო.

დასასრულ „ნოვ. ვრ.“,—ეს მუდამ სასტიკობისა და ძალმომრეობის მქადაგებელი, როცა-კი ჩვენი ქვეყნის შესახებ ჩამოვარდება ლაპარაკი,—სწერს:

> კავკასიის დასამშვიდებლად ყველაფერზედ უფრო გამოსადეგარია სამართლიანობისა და კანონიერების დამყარება და ამ გზით შეურყეველი წინსვლა. კავკასიელნი რუსებივით კარგად გრძნობენ, როცა მთავრობა სამართლიანობის გზას გვერდს უხვევს, რაც, სამწუხაროდ, კიდევაც ხდება ხოლმე. ვისაც სურს ხალხის წყლულის განკურნება, ის ფრთხილად და ახდილის გულით უნდა მივიდეს ხალხთან; უნდა ეცადოს, რომ ცუდ მხარესთან ხალხის კარგი თვისებებიც დაინახოს და ღირსეულად დააფასოს ისინი. ყოვლად მოწყალე ღმერთს განგებ ხომ არ შეუქნია უთუოდ ბიწიერი ერები და უთუოდ კავკასია ხომ არ დაუსახლებია ამგვარ ერებით?!.
>
> ძნელი საქმე არ არის ყვირილით ხალხის შეშინება, მისი შეურაცხება; ბევრად უფრო ძნელია ნამდვილი კულტურული მოღვაწეობა და სწორედ

ამისთვის ცოტა გვყავს მოღვაწეები... სამხედრო ძალით, ომიანობის შიშით, სისხლითა და მახვილით კავკასია კარგა ხანია უკვე დავიპყარით, ეხლა-კი დრო დადგა კულტურის გავრცელებით დავიპყრათ ეს ქვეყანა...

ვნახოთ, სანამდის შერჩება „ნოვ. ვრ.“-ს ეს არა ჩვეულებრივი „კარგი გუნება“...

წერილი ბაქოდან

ნავთის წარმოება და კრიზისი

ბაქოს, როგორც მოგეხსენებათ, ნავთის ქალაქს ეძახიან, რადგან ყოველგვარი მისი კეთილდღეობა ნავთის წარმოებაზეა დამყარებული. წინად, სანამ აქ ნავთის წარმოება გაჩაღდებოდა, ბაქო ერთ საწყალ ქალაქს წარმოადგენდა და ბევრმა არც კი იცოდა იმისი არსებობა. მთელი უწინდელი ბაქო ეხლა ერთს უბანშია მოქცეული, რომელსაც ქვითკირის გალავანი აქვს შემოვლებული და რომელსაც ციხეს ეძახიან. ეს ციხე იმ დროს არის აშენებული, როცა ბაქო სპარსელების ხელში იყო და მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონია. მართალია, მაშინაც იცოდნენ, რომ ბაქოს მიდამოებში ნავთი გამოდიოდა, მაგრამ ამ ნავთს მარტო აქლემებითა და ურმებით ეზიდებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი ოჯახში სახმარად, ან კიდევ თაყვანსა სცემდნენ, რა-კი გაუმქრალი ცეცხლი ეკიდებოდა მიწიდან ამონაყოფ ნავთს.

დრო შეიცვალა, გაიგეს, რა საუარებელი სიმდიდრე იყო მოქცეული გურგენის ზღვის ნაპირების ნიადაგის ქვეშ და შეუდგნენ მუშაობას. დიდი ხანი აღარ გასულა, რომ ბაქოს მოაწყდა ყოველის მხრიდან უამრავი ხალხი: კაპიტალისტები, ინჟენრები, ვაჭრები და უთვალავი მუშები. შეიძინეს ნავთიანი ადგილები, გაუხვრიტეს დედა-მიწას მრავალ ადგილას გული და იწყეს ნავთის ამოღება. მაგრამ ზოგან ამოღებაც საჭირო არ იყო, რადგან ისეთმა შადრევანებმა ამოხეთქეს, რომლებიც მილიონ ფუთობით ისროდნენ დღეში ნავთს. ნავთისაგან, როგორც ვიცით, მრავალი სხვა-და-სხვაგვარი, ცხოვრებაში საჭირო და გამოსადეგი ნივთიერება მზადდება. ამიტომ ბაქოში გაიმართა მრავალი სხვა-და-სხვანაირი ქარხანა და ამ სახით გაჩაღდა ნავთის წარმოება. ნავთის წარმოებამ, რასაკვირველია, გამოიწვია სხვაგვარი წარმოებაც და ყოველგვარი აღებ-მიცემობა. ამ სახით ბაქო საკვირველად გაიზარდა, გამშვენიერდა და გამდიდრდა. მრავალნი, არას მქონენი, მილიონერებად იქცნენ, რადგან ყოველ ფუთ ნავთზე 10—15 კაპ. მოგება რჩებოდათ.

ასე კარგად და ბედნიერად მიდიოდა ნავთის მწარმოებლების საქმე დიდ ხანს, მაგრამ ამ 4 წლის წინად, სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო, ბედი მოულოდნელად თავ-უკუღმა დატრიალდა: ერთბაშად დაეცა ნავთის ფასი და გაჩნდა საშინელი კრიზისი. ამ კრიზისმა სულ თანდათან იმატა, დიდ ხანს გასტანა და ყოველგვარ წარმოებასა და აღებ-მიცემობას შავი დღე დააყენა. რა-კი შემოსავალი ხარჯს ვეღარ ჰფარავდა, ამიტომ მწარმოებელნი იძულებულნი გახდნენ ან სრულიად აეღოთ ხელი წარმოებაზე და ან თავის ჯიბიდან ზედ-მეტი ეხარჯათ. ამ კრიზისის დროს ბანკებმაც დიდის გაფრთხილებით იწყეს კრედიტის გაცემა და ფულის შოვნა გაჭირდა. ბევრმა ვალის გადახდაც ვეღარ შესძლო და გაკოტრდა. ეხლა საქმე თითქოს გამოკეთებას სცდილობს: ნავთის ფასმა აიწია და თანდათანაც მატულობს, ასე რომ ფუთის ფასი 6 კ. 12 კ. ავიდა. იმედიც აქვთ კიდევ მოიმატებს. ამის მიზეზად ზოგი ომის მოლოდებას ასახელებს, ზოგი ნავთის წარმოების შემოკლებას და ზოგიც იმას, რომ წელს რამდენიმე ასი მილიონი ფუთი ნავთი იმსხვერპლა ცეცხლმა და სხვ. შეიძლება რასაკვირველია, ყველა ამ მიზეზებს ჰქონდეთ შესაფერი მნიშვნელობა კრიზისის შესუსტებაში, მაგრამ ნამდვილი მიზეზი-კი სულ სხვა უნდა იყოს, ესე იგი საზოგადოდ ნავთის წარმოების მდგომარეობა ამერიკაში და მისი აღებ-მიცემობის პირობების შეცვლა ევროპის ბაზარში.

წყ—ლი

დაბა-სოფლები

სოფ. ყვარელი (კახეთი). წელს, ცოტა არ იყოს, ბედმა გაუღიმა ამ სოფლის მცხოვრებთ. პური საკმაო მოვიდა. ღვინის მოსავალი ხომ კარგია და კარგი. დააყენეს მაჭრები, დაამზადეს გასასყიდად, მაგრამ მუშტარი სად არის! მართალია, გასასყიდი აქვთ, მაგრამ სასმელიც ბლომად დაიტოვეს და უხვად ეწაფებიან ნოეს კურთხეულ ნუნუას. მერე თუ ერთი ჩაუჯდა ჩვენებური კაცი, სავსე ჯამს პირიდან აღარ მოიშორებს. ძალზე სვამს, ითვრება და მერე, ვინ იცის, რამდენ უბედურებას სჩადის. წვეულება-მხიარულებაში ხომ პირველი საქმე ღვინის სმაა. ღვინის წყალობით მკვლელობა მოხდა 27 ოქტომბერს. ერთ ქორწილში, სადილის ბოლოს, როცა კარგად შექეიფიანებულან, მეფის ერთ ნათესავს თამადისთვის ეთხოვნა, ერთ სადღეგრძელო მეც მათქმევინეო. თამადას ნება არ მიეცა. მაშინ ამას სტაქანი ესროლა თამადისათვის. ეს ხომ სუფრის მბრძანებლის „შეურაცხყოფაა“, მაგრამ მალე დაეშოშმანებინათ. მხოლოდ მერე, როცა ყველანი წასულ-წამოსულიყვნენ, ეს ორნი იქვე ეკლესიასთან შეხვედრილან და ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც ერთი მათგანი მეორეს ხანჯლით დაუჭრია და ამის ანაწერა გამხდარა—სული განუტევებია. მოკლული გვარად ციცკარაშვილია. 25 ოქტომბერს ამავე სოფელში მცხოვრებმა ქმარ-შვილიანმა დედაკაცმა ს. ცირიკაშვილმა ხანჯლით მუცელში დასჭრა ამავე სოფლის მცხოვრები გლახა სეფაშვილი, რომელიც მაშინვე გარდაიცვალა. ეს უკანასკნელი მთვრალი მისულა თავის სურვილის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ქალი არ დაჰნებებია და ხანჯალი ჩაუკრავს მუცელში.

ვან—ილი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ნოემბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე-დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის ჯანმრთელობის ბიულეტენი: „მის უდიდებულესობას გუშინ დღისით თითქმის სამი საათი ეძინა; საღამოთი ტემპერატურა—37,7, მაჯა—75. ღამე მის უდიდებულესობას დრო გამოშვებით ეძინა. დილით ტემპერატურა 37,2; მაჯა 70. თვითგრძნობიერება საკმაოდ კარგი აქვს. მადა უმჯობესდება. ადგილობრივი პროცესი მარჯვენა ყურში ნორმალურად ვითარდება“.

სოფია. აქაური გაზეთები დიდის აღტაცებით ეგებებიან დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის პასუხს პრინცესა კლემენტინას იმ წერილზე, რომელშიაც უკანასკნელი სთხოვდა ხელმწიფე-დედოფალს გარდახვეწილთა შებრალებასა და მათ სასარგებლოდ რუსეთში შეწირულებათა შეკრებას. საპასუხო წერილში ხელმწიფე-დედოფალი აუწყებს, ჯერ კიდევ მისმა უდიდებულესობამ საკუთარის თაოსნობით იშუამდგომლა და წითელი ჯვრის საზოგადოებას ნებართვა აუღო, რომ მაკედონელ გარდახვეწილთა სასარგებლოდ შეწირულებათა შეკრება დაეწყო; დედოფალი სთხოვს პრინცესას, შეკრებილ შეწირულებათა ნაწილის დარიგება იკისროთო.

შანჰაი. ნიუ-ჩუანიდან იტყობინებიან, ადგილობრივმა ჩინელმა მოხელეებმა პირდაპირ განაცხადეს, რუსეთი ქალაქის მეორედ დაჭერით გვაგებინებს, რომ ხელ-შეკრულობით მოპოვებულ უფლების განხორციელების ნებას არავის მისცემს, მაგალითად, ისეთ უფლებისას, როგორიც ამ ხანებში დადებულ ხელ-შეკრულობით შეერთებულმა შტატებმა მოიპოვეს.

ტოკიო. თუმცა კორეიის მთავრობა იმ აზრისა იყო, რომ იოგამპოს ნავთ-სადგური ყველასათვის ღია ყოფილიყო, მაგრამ რუსეთის ელჩის რჩევით ამ საკითხის გადაწყვეტა გადასდო.

ლონდონი. აქაურ იაპონიის საელჩოს იაპონელების მიერ იჩუს ნავთ-სადგურის დაჭერის შესახებ არაფერი ცნობაც არ მოსვლია.

კოლონი. პანამის მთავრობამ უარ-ჰყო კოლუმბიის სამის კომისარის წინადადება.

ბელგრადი. ხმა, ვითომ მეფეს დამბლა მოსვლოდეს, ტყუილია.

კატანია. დღეს მიწა იძრა. პროვინციის სხვა ადგილიდანაც მოდის ცნობები მიწის ძვრის შესახებ.

ვინძორი. მეფე-დედოფალი იტალიის გაემგზავრნენ.

ჰელსინგფორსი. გასულს 29 ოქტომბერს უმაღლესად დამტკიცებულ დადგენილების თანახმად, რუსეთის ქვეშევრდომთ, რომელნიც ფინლიანდიის მოქალაქეთა უფლებით სარგებლობენ, ნება ეძლევათ ფინლიანდიაში უძრავი მამულები შეიძინონ და იყოლიონ ისე, როგორც ფილიანდიის მკვიდრებმა. წინანდელი შეზღუდვა თავის ძალაში რჩება მხოლოდ ებრაელებისათვის.

ოდესა. ელისავეტგრადის ეფისკოპოსი მემნონი გარდაიცვალა.

9 ნოემბერი

პორტსმუტი. იტალიის მეფე და დედოფალი წავიდნენ აქედან იახტა „ვიქტორია და ალბერტ“-ით.

სტამბოლი. გუშინ მინისტრთა საბჭომ ვერაფერი გადასწყვიტა რეფორმათა მოთხოვნის შესახებ, თუმცა მზად არის დაუთმოს.

სოფია. *) 8 ნოემბერს პრინცესას სახელწოდების დღეს სოფიის სასახლეში შეიკრიბა მთავრის სახლეულობა; მოვიდნენ საქსენ კობურგელ პრინცების ფილიპესა და ავგუსტის შვილები; მოელოდებიან აგრეთვე პრინცესას შვილისშვილებს.

ბერნი. დ. პალეზიასთან რკინის გზაზე უბედური შემთხვევა მოხდა. 6 კაცი (მოკლულია?) ამათ შორის 2 შვილი გრაჩევისა, რომელიც, ჰფიქრობენ, სცხოვრობდა პეტერბურგში, და იმისი გუვერნანტკა ქ-ნი რიკეტი.

---

*) ოპოზიციონურ წრეებიდან.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 7 ნოემბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,80	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,75	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,62½	
ბირჟის დისკონტი	5-6½%	
4% სახელმწიფო რენტა	99½	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	95⅛	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	459½	გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	348	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	295	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	92⅜	„
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	234	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში 60 მან. თვეში-

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი —ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ გამგეობის თანადასწრებით, 15 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომლის დროსაც იჯარით გაიცემა ოთხი დუქანი ბაზრის ქუჩის ბოლოში, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ.

ვისაც ვაჭრობა ჰსურს, პირობანი შეუძლიან გასინჯოს გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე 9-დან 3 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება ვაჭრობის დაწყებამდე. ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებმა უნდა წარადგინოს ბე 70 მანეთი.

(2—6.—1)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დაიბეჭდა და დარიგდა გასასყიდად
ნ. მარრის
რუსული თხზულებანი:

1. გრამატიკა ძველ სომხურ ენისა. ეთიმოლოგია, გვ. XXXVIII—300, ფ. 2 მან.
2. ტექსტები და გამოკვლევანი სომხურ-ქართულ ფილოლოგიისა. წიგნი მე-V. კრიტიკა და პატარ-პატარა წერილები. გვ. 73. ფ. 1 მან.

ამ წიგნების დაბარება შეიძლება: С.-Петербургъ, В. О. 4 л. д. 7. ალექსანდრე მარრი.

სამკურნალო

ქალთა ავადმყოფობებისა სამშობიარო განყოფილებით ექიმების **ე. სობესტიანსკისა და პ. ჩერეპანოვისა**. მიღება დასაწოლად მოსულებისა, ფეხმძიმეებისა და მშობიარეთა ყოველ დროსა და საათს შეიძლება, საჭირო წინ-და-წინვე განცხადება.

ადრესი: ანასტასიევის ქუჩა, სახლი ჩერეპანოვისა. (15—187—4)

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Дозв ценз. Тифлисъ 9 ноября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Изда.. Т—ва.)